პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 ივლისი, შაბათი, 1988 წ.
№ 136 (9803) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მიახლოება ოცნების ქალაქთან

საქმე ფიქრიდან იწყება, ნათქვამია. ოცნებას სპორტულ ქალაქზე მწერლის იდეამ დაუდო სათავე. გურამ ფანჯიკიძეს კარგად იცნობს მკითხველი საზოგადოება როგორც საქართველოში, ისე მთელს კავშირში და უცხოეთში. თამამად ვიტყვით, იგი ქართველ მწერალთაგან ყველაზე ახლოსაა სპორტთან, მხარში უდგას და ყურადღებას არ აკლებს. სრულებით არ იყო გასაკვირი, რომ მწერლის ხმა რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობაში კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თაოსნობის სიგნალად იქცა. ალბათ გახსოვთ, წელს, 21 აპრილს, გაზეთმა „თბილისმა“, რომელიც ასევე სამაგალითოდ უხდის ხარკს ქართულ სპორტს, გამოაქვეყნა გურამ ფანჯიკიძის სადისკუსიო წერილი „ოცნების ქალაქამდე ორი ნაბიჯია“. დაისვა საკითხი, რომ გმირთა მოედანთან მდებარე აბრეშუმის ფაბრიკის ყოფილი შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია გავაერთიანოთ მეზობელ სპორტულ ობიექტებთან და მთლიანობაში ვაქციოთ სპორტულ ქალაქად. შესანიშნავი წინადადებაა! „თბილისის“ მკითხველებმა, ჩვენი დედაქალაქის გამოჩენილმა ადამიანებმა აიტაცეს ეს აზრი, მხარი დაუჭირეს მწერალს და გაზეთს. რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ვრწმუნდებით, რაოდენ დიდი სიკეთე შეიძლება მოიტანოს მწერლის ოცნების ხორცშესხმამ. ამას ქართული სპორტის ინტერესები მოითხოვს. განა ნაკლებ მნიშვნელოვანია თუნდაც ის, რომ ქალაქის ცენტრში ჯანმრთელობის უძლიერესი კერა გვექნება? ვინც გულთან ახლოს მიიტანა გურამ ფანჯიკიძის წინადადება, მოითხოვს, რომ „ოცნების ქალაქი“ საყოველთაო ზრუნვის ობიექტად გამოცხადდეს. „ლელო“ ადრე წერდა, რომ კარგი იქნება, სანაპიროზე, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის წინ მდებარე „ინუმშენის“ მაღლივი კორპუსი, ამ ორგანიზაციის მისამართის გამოცვლის შემდეგ, როგორც სასტუმრო და სამედიცინო ცენტრი, სპორტსმენებს გადაეცეს. ამ ტერიტორიაზე ყველაფერი მართლაც სპორტითაა გალაღებული და სპორტით სუნთქავს, ამიტომ არ შეიძლება აქ „სხვისი ჩასახლება“, ჰარმონიაში დისონანსის შეტანა. თბილისში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი იმთავითვე ხომ სწორედ აქ იყო — ალბათ გახსოვთ ფიზკულტურელთა ყოფილი პარკი სანაპიროზე.

გაზეთ „თბილისის“ მეშვეობით საზოგადოებრივმა აზრმა კიდევ უფრო დაგვაახლოვა ოცნების ქალაქს. მაშ, მოდით, რეალობად ვაქციოთ კარგი ჩანაფიქრი, ეს იქნება დღევანდელობის პრინციპების კიდევ ერთი გამარჯვება.

## ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

1988 II ВСЕСОЮЗНЫЕ ЛЕТНИЕ ЮНОШЕСКИЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ

## საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი:

**სპორტული ტანვარჯიში**

● ოქროს მედალი — გიორგი კოსტანიანი (ხტომები, „დინამო“, თბილისი).

● ვერცხლის მედალი — ნიკოლოზ ბარამიძე (ტაიჭი, „შრომითი რეზერვები“, თბილისი).

# თამაშების დღიური

ფეხბურთი (ძერჟინსკი). საქართველოს ნაკრები გუნდის წარმატებითი სერია გრძელდება. ჩვენმა ბიჭებმა ამჯერად ესტონელ თანატოლებს მოუგეს — 2:1 და ფინალურ ჯგუფში გავიდნენ.

სპორტული ტანვარჯიში (ვორონეჟი). ასპარეზობა დამთავრდა. ჩვენი გოგონებიდან საპრიზო ადგილზე ვერავინ მოხვდა. ბიჭებიდან ჩემპიონის წოდება ხტომებში მოიპოვა გ. კოსტანიანმა (მწვრთნელი ვალერი მოსკვიტინი), მეორე ადგილი ტაიჭზე ვარჯიშში წილად ხვდა ნ. ბარამიძეს (მწვრთნელი ედუარდ ესკუზიანი).

საერთო გუნდურ პირველობაში საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გუნდი X ადგილზე გავიდა. პირველ თამაშებში ჩვენი ნაკრები VIII იყო, მოპოვებული ჰქონდა ერთი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი.

### დამთავრებული სახეობების შემდეგ

(პირველ გრაფაში მოცემულია II თამაშებში მოპოვებული საერთო გუნდური ადგილი, ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები, ფრჩხილებში კი I თამაშების შედეგები). მდგომარეობა 15 ივლისისთვის

| | | |
|---|---|---|
| აფროსნობა | X — — — | (IX — — —) |
| ბალახის ჰოკეი (ბიჭები) | IX — — — | (X — — —) |
| ბალახის ჰოკეი (გოგონები) | XIV — — — | (არ მონაწ.) |
| ბატუტზე ხტომა | I 3 3 1 | (V — — —) |
| ველოსპორტი (ტრეკი) | XIII — — 1 | (X — 1 —) |
| ველოსპორტი (გზატკ.) | არ დამთ. 2 2 — | (XV — — —) |
| თანამედროვე ხუთჭიდი | VI — — — | (IX — — —) |
| კალათბურთი (ბიჭები) | II — 1 — | (II — 1 —) |
| კალათბურთი (გოგონები) | IX — — — | (VIII — — —) |
| მაგიდის ჩოგბურთი | IX — — 1 | (XIV — — —) |
| მშვილდოსნობა | VIII — — — | (III 1 1 —) |
| ნიჩბოსნობა (აკად.) | XI — — — | (IX — 1 1) |
| სასტენდო სროლა | XII — — — | (VIII — 1 —) |
| სინქრონული ცურვა | IV — — 1 | (IV — — —) |
| სპორტული ტანვარჯიში | X 1 1 — | (VIII 1 — 1) |
| ტყვიის სროლა | IX — 1 — | (IX — — —) |
| ჩოგბურთი | V და VII — — — | (I — — 2) |
| ძიუდო (ბიჭები) | II 4 3 2 | (I 3 1 1) |
| ძიუდო (გოგონები) | XXII-XXIII — — — | (არ ჩატ.) |
| წყალში ხტომა | V — 1 1 | (V 2 1 2) |
| ხელბურთი (ბიჭები) | V — — — | (X — — —) |
| ხელბურთი (გოგონები) | XII — — — | (XV — — —) |
| სულ | — 10 12 7 | (7 7 7) |

### კოლექტივები, მედლები და ქულები

მდგომარეობა 15 ივლისისთვის

| კოლექტივები | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რსფსრ | 28 | 19 | 21 | 68 | 375,0 |
| 2. უკრაინა | 12 | 16 | 17 | 45 | 232,0 |
| 3. ბელორუსია | 9 | 8 | 20 | 37 | 183,0 |
| 4. მოსკოვი | 12 | 10 | 8 | 30 | 166,0 |
| 5. საქართველო | 10 | 12 | 7 | 21 | 158,0 |
| 6. ლიტვა | 4 | 6 | 6 | 16 | 82,0 |
| 7. ლენინგრადი | 8 | 0 | 5 | 13 | 76,0 |
| 8. ყაზახეთი | 1 | 7 | 6 | 14 | 66,0 |
| 9. უზბეკეთი | 2 | 3 | 5 | 10 | 49,0 |
| 10. მოლდავეთი | 1 | 2 | 6 | 9 | 41,0 |

## სსრ კავშირი — აშშ

ჩვენი ქვეყნისა და ამერიკის შეერთებული შტატების მრავალმხრივი ურთიერთობა თანდათან ფართოვდება და ღრმავდება. ამ ურთიერთობის გამოძახილია ამერიკელი მოსწავლეების სტუმრობა საქართველოში.

მასპინძლობას უცხოელ მოზარდებს კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე უწევს. სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, სწორედ ამ ქალაქშია გადაღებული — ამერიკელი და ქართველი მოსწავლეები ერთად გამოვიდნენ ველოსიპედებით სასეირნოდ.

თამაზ ბიბილურის ფოტო.



# გურამ ბიგანიშვილმა ოთხიდან ოთხი რბოლა მოიგო

ტალინი. ბალტიის ზღვის ტრადიციული 28-ე რეგატის მონაწილეებს ამინდი არ ანებივრებს. არასტაბილური ქარი, რომელიც წამდაუწუმ იცვლის მიმართულებას, მეტად რთულ პირობებში აყენებს აფროსნებს, რომლებსაც ყოველ რბოლაში რამდენჯერმე უხდებათ ტაქტიკის შეცვლა.

შეჯიბრების მონაწილეებმა ფაქტიურად გაიარეს ნახევარი დისტანცია, მაგრამ ჯერჯერობით, გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლება. დღევანდელი ლიდერი ხვალ შეიძლება ბოლოში მოექცეს და საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფს გამოაკლდეს კიდეც.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, წარმატება გარანტირებული აქვს მხოლოდ „ვარსკვლავის“ კლასში მოასპარეზე გურამ ბიგანიშვილს. მან ზედიზედ ოთხი რბოლა მოიგო და დამაჯერებლად ლიდერობს ასპარეზობას. თბილისელ აფროსანს საჯარიმო ქულა არა აქვს.

„470“-ში მეოთხე რბოლაში ტალინელმა პეტერ შარაშკინმა გაიმარჯვა, მაგრამ მას მჭიდროდ მიუახლოვდა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ანდრეი ჩუროჩკინი. „სოლინგის“ კლასში პირველი გამარჯვება მოიპოვა ევროპის ექსჩემპიონმა გიორგი შაიდუკომ. ახლა იგი საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზეა. ამ კლასში დაწინაურდა ვლადივოსტოკელი ვლადიმერ იგნატენკო.

„მფრინავ ჰოლანდიელებში“ ოთხი რბოლის შემდეგ ლიდერობს მოსკოველი მიხეილ აზაროვი, „ფინის“ კლასში — გდრ-ის წარმომადგენელი დირკ პიტელკოვი. შეჯიბრება კვირას მთავრდება.

**რესპუბლიკის გამოცდილება საკავშირო პრესის ფურცლებზე**

ИЗВЕСТИЯ СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР

# პლუს ჩათვლა ფიზიკურ კულტურაში

მიმდინარე წლიდან საქართველოში ყველა აბიტურიენტი, მიუხედავად მის მიერ არჩეული უმაღლესი სასწავლებლისა, აბარებს საკონტროლო ნორმატივებს ფიზიკურ მომზადებაში, რომლის შედეგი გათვალისწინებული იქნება ჩარიცხვის დროს.

ვესაუბრებით საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს რ. აიწურაძეს.

⊙ **რევაზ შალვას ძევ, თავიდან შემაშფოთებელი ხმები დაირხა მოსალოდნელ „განთესვაზე“, „ინტელექტის მიმართ კუნთების უპირატესობაზე“.**

— დაირხა და მიწყდა. იდეის მომხრე გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით. თანაც ეს გამოვლინდა ღია დისკუსიის მეშვეობით, გადაწყვეტილების მიღებამდე. როგორც დადასტურდა, არის საფუძველი იმისა, რომ შეშფოთებულნი ვიყოთ ახალგაზრდობის დღევანდელი ფიზიკური ფორმის გამო.

⊙ **მართალია, რომ ჩვენი მოზარდი სხვა რესპუბლიკებში მცხოვრებ თანატოლებზე ოთხი კილოგრამით მძიმეა?**

— დიახ, სამწუხაროდ, ასეა... თბილისის უნივერსიტეტში ჩატარებულმა შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ მშდ კომპლექსის ნორმატივები, უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის უბრალო ელემენტებიც კი სტუდენტთა უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელია. შევამოწმეთ მეორეკლასელი მოსწავლეები სკოლებში—მივიღეთ იგივე სავალალო შედეგები.

ამას წინათ თბილისში გასაწვევთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე

იხ. მე-4 გვ.

# პიონერული ზაფხული-88



თელავი მრავალი წლის მანძილზე საცურაო აუზის გარეშე იყო დარჩენილი. მერე აქ დიდი ხნის ნანატრი აუზიც აიგო და ნორჩ მოცურავეთა გამაჯანსაღებელ საზაფხულო ბანაკსაც უმასპინძლა. შარშანდელი მასპინძლობით ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ — ნორჩი მოცურავეებიც, მათი მწვრთნელებიცა და ბანაკის ხელმძღვანელობაც, და აი, წლეულს თბილისის პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპორტული სკოლის 80 აღსაზრდელი ზაფხულის არდადეგებს თელავის სპორტულ ბანაკში ატარებს.

ჯემალ კასრაძე,
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

ავტორის ფოტოები.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# არჩევნების მეშვეობით— „ადიდასთან" შესახვედრად

**კოლექტივის** აზრი გადამწყვეტი აღმოჩნდა სსრ კავშირის სპორტსახკომის მთავარსპორტმრეწვის თბილისის სპორტული ნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის ახალი დირექტორის დანიშვნის დროს. ფარული კენჭისყრის შედეგად საწარმოს სათავეში ჩაუდგა ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რომან რურუა.

ერთი თვის წინათ თბილისის საქალაქო გაზეთებში გამოჩნდა განცხადება ამ ფაბრიკის დირექტორის თანამდებობის დაკავებაზე კონკურსის შესახებ. პრეტენდენტი ბევრი იყო. მაგრამ ზოგიერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, რომლებიც ესოდენ რთული წარმოების ხელმძღვანელს აქვს წაყენებული. ზოგმა კი, როცა გაეცნო მუშაობის სპეციფიკასა და მოცულობას, მოხსნა თავისი კანდიდატურა. საბოლოოდ სიაში დარჩა მხოლოდ ფაბრიკის დირექტორის მოადგილე რ. რურუა.

დიდ სპორტს რომ თავი დაანება, გამოჩენილმა საბჭოთა მოჭიდავემ, რომელსაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომი აქვს, მუშაობა დაიწყო ამ საწარმოში, ათი წლის მანძილზე იყო მისი დირექტორი. შემდეგ ოთხი წლით მიიწვიეს სსრ კავშირის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელთა საბჭოში. უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში რ. რურუა კვლავ მშობლიურ კოლექტივში მუშაობდა.

ერთ-ერთ ახალ საამქროში შეიკრიბნენ ფაბრიკის ყველა სამსახურისა და ქვეგანაყოფის წარმომადგენლები. სსრ კავშირის სპორტსახკომის მთავარი სპორტმრეწვის უფროსმა იური კოკუსევმა გამოაცხადა კონკურსის შედეგები და წარმოადგინა ერთადერთი კანდიდატი, რომელიც კარგად იცნობდა კოლექტივის ცხოვრებას, ფაბრიკის პრობლემებს. ეს დადასტურდა კიდეც, როცა რურუამ საერთო სამსჯავროზე წარმოადგინა თავისი მუშაობის პროგრამა. მან ილაპარაკა იმაზე, რომ უარი უნდა თქვან ადმინისტრირების მეთოდზე, რომ ამიერიდან ხელფასი დამოკიდებული იქნება მხოლოდ მუშაობის ხარისხზე, საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში თითოეულის აქტიურ მონაწილეობაზე, დისციპლინის განმტკიცებასა და პასუხისმგებლობის ამაღლებაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემებს.

შეკრებილებმა ხმა მისცეს რურუას კანდიდატურას და დაბეჭდილი საარჩევნო ყუთი „სამოგზაუროდ" მიემართება საამქროებში, საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ უშუალოდ სამუშაო ადგილებზე, ჩვენ კი ამასობაში ვეცნობით ფაბრიკას, რომელმაც მალე უნდა ითანამშრომლოს ცნობილ დასავლეთგერმანულ ფირმა „ადიდასთან".

საწარმო პრაქტიკულად ხელახლა იბადება — რეკონსტრუქცია და გაფართოება აქ წარმოების შეუჩერებლად მიმდინარეობს, გეგმების შესრულების ტემპი არ ნელდება. სამუშაოები დაიწყო 1984 წელს, რომელთა დროს ჩამოჰქონდათ და ამონტაჟებდნენ იმპორტულ მოწყობილობას, კორექტირებას უწევდნენ რეკონსტრუქციის გეგმებსა და დამთავრების ვადა მიმდინარე წლის დამლევისათვის გადასწიეს. ახალი შენობების აგებისა და ძველთა რეკონსტრუქციის კვალობაზე იხვეწება ტექნოლოგიური პროცესები, დამამთავრებელ სტადიაშია კორპუსის აგება, საიდანაც მთელ ქვეყანაში გაიგზავნება „ადიდასის" კოსტიუმები. ყველა სამუშაო რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების კონტროლს არის დაქვემდებარებული.

— უნიკალური შემთხვევაა: საწარმო, რომელიც ესოდენ მასშტაბურ რეკონსტრუქციას განიცდის, არც ერთი საათით არ შეჩერებულა, — უთხრა კორესპონდენტებს ი. კოკუსევმა. — ეს მოწმობს ფაბრიკის კოლექტივის გვარიან პოტენციურ შესაძლებლობებს, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ თვისებრივად ახალი, რთული ამოცანების გადაწყვეტაში, საზღვარგარეთის ფირმებთან პარტნიორობასთან რომ არის დაკავშირებული.

— საქმე ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა რთული ვითარება სპორტული საქონლის გამოშვებასთან დაკავშირებით. განვითარებულ ქვეყნებში ტანსაცმლის გამოშვების საერთო მოცულობაში სპორტული ნაწარმი 80 პროცენტს შეადგენს, ფეხსაცმელი — 40-45 პროცენტს, სსრ კავშირში კი მხოლოდ 3 პროცენტს. ჩვენ სამჯერ ნაკლებ სპორტულ ინვენტარს ვუშვებთ ერთ კაცზე გაანგარიშებით. საჭიროა სტრუქტურული ძვრები მთავარსპორტმრეწვის საწარმოთა, მათ შორის თბილისის ექსპერიმენტული ფაბრიკის მუშაობაში. ჩვენ ახლა უნდობლად ვეკიდებით დირექტორებს, რომლებიც პატაკებს გვაბარებენ ასი და მეტი პროცენტით გეგმის შესრულების შესახებ. ბაზარი ცარიელია, ისინი კი ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს წარმოთქვამენ. საწყობისა და თაროებისათვის მუშაობა აღარ შეიძლება. ეს ესმის ფაბრიკის დირექტორობის კანდიდატსაც. მას ვიცნობთ არა მხოლოდ როგორც გამოჩენილ სპორტსმენსა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე კარგ სპეციალისტს. მას შეუძლია დაიცვას თავისი თვალსაზრისი, პირდაპირი და პატიოსანი კაცია, არ აშინებს პასუხისმგებლობა და გაბედული გადაწყვეტილებების მიღება, იცის, თუ რა სჭირდება კოლექტივს, მომხმარებელს. თუმცა, ამოცანებიც მას ადვილი როდი ექნება გადასაწყვეტი.

მთავარია პროდუქციის ხარისხი, მიმზიდველობა. და ამას რომ მიაღწიოს, საჭიროა არა მარტო აითვისოს ახალი მოწყობილობა, არამედ შეცვალოს კიდეც დამოკიდებულება ნედლეულის, სამუშაო დროის გამოყენებისადმი, შემოიღოს მუშაობის ზუსტი ნორმირება და აღრიცხვა. ჯერჯერობით კი ფაბრიკა არათუ ვერ უზრუნველყოფს ხარისხს, არამედ ვერც აახლებს ნაწარმის მოდელებს, ესე იგი ვერ აყალიბებს მომხმარებლის მხატვრულ გემოვნებას, რომელიც მაინც იყიდის იმას, რასაც სთავაზობენ.

— ძირითად სამეურნეო რგოლად უნდა მივიჩნიოთ არა მთლიანად საწარმო, არამედ თითოეული სამუშაო ადგილი, საწარმოს ეკონომიკაც შიგნით უნდა იყოს მიმართული, ითვალისწინებდეს იმას, რომ უკუგება გაიზარდოს სწორედ თითოეულ სამუშაო ადგილას. ეს კი, ბუნებრივია, მოითხოვს სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტასაც. ჩვენ ყოველნაირად დავეხმარებით ფაბრიკას, როგორც ამას მუდამ აკეთებს პარტიის თბილისის ლენინის რაიკომი.

— ჩვენ ახლა ვუშვებთ დაახლოებით 45 დასახელების ნაწარმს, — ჩაება საუბარში რომან რურუა. — ამ რაოდენობას შევამცირებთ, მაგრამ სამაგიეროდ გავაუმჯობესებთ ხარისხს. „ადიდასი" ხომ გვაძლევს 29 დასახელების ასორტიმენტის — კოსტიუმების, მაისურების, სათბურას, ტენისურების ლიცენზიას... პირველ ოთხ წელიწადს ვითანამშრომლებთ კომპენსაციურ საფუძველზე — დასავლეთ გერმანიის ფირმას მივცემთ პროდუქციის 30 პროცენტს. დარჩენილი რაოდენობიდან ნაწილი მიეცემათ „დიდი სპორტის" წარმომადგენლებს, ნაწილი კი თავისუფლად გაიყიდება. ამასთან, დროთა განმავლობაში, სარეალიზაციო პროცენტი სულ უფრო გაიზრდება. სხვათა შორის, თბილისის პარტიული ორგანოების ინიციატივით რესპუბლიკის დედაქალაქში გაიხსნება საფირმო მაღაზია, რომელშიც შეიძლება ჩვენ მიერ გამოშვებული „ადიდასის" პროდუქციის შეძენა. მოდელებს კი ყოველწლიურად 70 პროცენტით განვაახლებთ.

— ბუნებრივია, ესოდენ რთული ტექნოლოგიური პროცესი წარმოუდგენელია, თუ არ გვეყოლება მაღალკვალიფიციური კადრები. ამიტომ ფაბრიკაში მოვიწვევთ კონსულტაციისათვის გამოცდილ სპეციალისტებს, საუკეთესო მუშაკებს კი გავგზავნით საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მუშახელის შესანარჩუნებლად აქ შევეცდებით მაქსიმალურად ოპერატიულად გადავწყვიტოთ სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხები როგორც საწარმოს ტერიტორიაზე, ისე მის გარეთ — შევქმნათ მაქსიმალური კომფორტი სამუშაო ადგილებზე — ადამიანები უზრუნველვყოთ ბინებით, საბავშვო ბაღით, საბაღე-საბოსტნე ნაკვეთებით.

...ამასობაში შეჯამდა საამქროებში კენჭისყრის შედეგები. ორი ბიულეტენი ბათილი აღმოჩნდა, სამი ხმა წინააღმდეგ და 460 ხმა რომან რურუას უჭერდა მხარს.

თავისი ბიოგრაფიის ახალ, ძნელ და პასუხსაგებ ეტაპზე, იმედებით აღსავსე გადიან ფაბრიკაც და მისი დირექტორიც.

**ვ. გოლოვინი,**
**შ. შალოლაშვილი,**
**საქინფორმის კორ.**



არჩევენ დირექტორს... გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმი).

## ლიცს იქით და [illegible]

შრომითი სემესტრი

# შრომობენ და ინართობიან

**შრომითი** სემესტრი კარგა ხანია დაიწყო ქობულეთის უფროსკლასელმა მოსწავლეებმა საკლასო ოთახებიდან ბალ-პლანტაციებში გადაინაცვლეს.

ბანაკური ცხოვრების ყოველი დღე დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება (ფიზკულტურის მასწავლებელი ჯ. ჯაში), შემდეგ მოსწავლეები ბალ-პლანტაციებში უფროსების მხარდამხარ შრომობენ. ერთმანეთს ეჯიბრებიან ზ. ხინიკაძის, მ. კაკალაძისა და დ. დადიანის რგოლები, რომლებმაც უკვე დაამუშავეს 3000 კვადრატული მეტრი ჩაის პლანტაცია, ამდენივე ციტრუსოვანთა ფართობი, მოკრიფეს და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩააბარეს 4 ტონამდე ჩაის ფოთოლი.

რგოლებს შორის შეჯიბრება შრომის შემდეგაც გრძელდება. ერთმანეთს ეჯიბრებიან ფრენბურთში, კალათბურთში, მინიფეხბურთში, ბაგირის გადაძალვაში, შაშში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნურ დისციპლინებში. მოეწყო ტურისტული ლაშქრობა ხინოს მთაზე. მონაწილეებს დიდხანს ემახსოვრებათ კოცონთან გატარებული მხიარული საღამო, კარვებში გათეული ღამე, დიდხანს გაჰყვებათ ის სიმხნევე და სილაღე, ამ ლაშქრობამ რომ შესძინა მათ.

მობანაკეებს დაგეგმილი აქვთ მეზობელ ბანაკებთან მატჩები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან.

**ლევან ქავშარაძე.**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

სპორტული ოჯახი

# სიმტკიცის საფუძველი

**საერთო** საქმე ყოველთვის ამეგობრებდა ადამიანებს. სწორედ ამ მიზეზმა დააკავშირა სიმონ გალეგაშვილის და მზია მაქაცარიას ცხოვრების გზები. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მათ სპორტული ოჯახი შექმნეს (დღეს ისინი სამხრეთ ოსეთში პედაგოგის რთულ და საპატიო საქმეს ემსახურებიან).



გალეგაშვილების ოჯახი.

მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ მარტო ეს მიზეზი არ კმაროდა გაზეთში გალეგაშვილების ოჯახისთვის ადგილი რომ დაგვეთმო. ალბათ არც ის, რომ ისინი ოთხ შვილს ზრდიან. საქმე ისაა, რომ მათი ოჯახი ზედიზედ გახდა საქართველოს ჩემპიონი ტრადიციულ ასპარეზობაში — „მთელი ოჯახით სტარტზე".

სპორტზე შეყვარებულ თითოეულ წევრს საკუთარი წვლილი შეაქვს ამ წარმატებებში. სწორედ ამის დასტურია მათი ბინის ერთ-ერთ ოთახში მოწყობილი გამოფენა. აქ არის სხვადასხვა დროს მოპოვებული მედლები, თასები, ვიმპელები, სუვენირები, დიპლომები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ უფროსი ქალიშვილი თამრიკო წლების განმავლობაში ოლქის კალათბურთელთა ნაკრების წევრი იყო და ბევრჯერ დაუცავს მისი სახელი. მეათეკლასელი შალვა ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდის „ლიახვის" საუკეთესო თავდამსხმელი და ბომბარდირია. მის კვალს მიჰყვება მომდევნო ძმა ვიქტორიც. უფროსებს არც მესამეკლასელი იზოლდა ჩამორჩება, ცდილობს ჩემპიონების ოჯახის ღირსეული წევრი იყოს.

— ჩვენი ოჯახის სიმტკიცე სპორტშია, მას უნდა ვუმადლოდეთ შვილების შრომისმოყვარეობას, მათ მიზანდასახულობას, — ერთგვარი სიამაყით გვითხრა ქალბატონმა მზიამ.

გალეგაშვილების ოჯახს მრავალ შეჯიბრებაში გამოსვლა ელის.

**ლეილა სუბელიანი,**
**(„ლელოს" სპეც. კორ.).**

ის ავლანეთში დაიღუპა

# გოჩა გიორგაძის სახელობის თასზე

**ასპინძის** კომკავშირის რაიკომმა კარგ ინიციატივას ჩაუყარა საფუძველი: რაიონის სოფლის ფეხბურთელთა გუნდები ყოველწლიურად გაითამაშებენ ავლანეთში გმირულად დაღუპული მეომრის გოჩა გიორგაძის სახელობის თასს.

პირველი გათამაშება, რომელიც ამ დღეებში მოეწყო, საინტერესოდ წარიმართა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რაიონის სოფლების 18 გუნდმა. მთელი ასპარეზობა დაუმარცხებლად ჩაატარა სოფ. აწყვიტის გუნდმა. ფინალურ მატჩში მან დამატებითი 11-მეტრიანების სერიით დაამარცხა ასპინძის რუსთაველის ქუჩის გუნდი და თასის პირველი მფლობელი გახდა.

მოკლე ხანში გაიმართება შეჯიბრება ფრენბურთში ასევე ავლანეთში დაღუპული ადგილობრივი მკვიდრის ჯუმბერ წიკლაურის სახელობის გარდამავალ თასზე.

**მ. მაღრაძე,**
**რაიონული გაზეთის კორესპონდენტი.**

# ლახტმა ბევრი მიიზიდა

მუშათა სპარტაკიადა

**სამტრედიაში,** ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა რაიონის მუშათა პირველი სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ლახტში.

ასპარეზობაში მონაწილეობდა წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების 15 გუნდი, თითოეულში 4 ძირითადი და 1 სათადარიგო მოთამაშე იყო.

მოასპარეზენი ჯერ 4 ქვეჯგუფად დაიყვნენ, შემდეგ გამარჯვებულებმა შექმნეს ფინალური ჯგუფი და I-IV ადგილები გაითამაშეს.

პირველი ადგილი არავის დაუთმეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სალოკომოტივო დეპოს წარმომადგენლებმა, მეორე ადგილი დაიკავეს კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის მოსწავლეებმა, მესამე — ჩაის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა.

შეჯიბრებამ მრავალი მაყურებელი მიიზიდა. ისინი, რა თქმა უნდა, ლახტის სანახაობრივმა მხარემ დააინტერესა, მაგრამ ამ ღონისძიებამ იმაშიც დაგვარწმუნა, რომ ეს უძველესი მოძრავი ქართული თამაში დავიწყებას ემლევა — ახალგაზრდები თამაშის წესებში თითქმის ვერ ერკვევიან. შეჯიბრების დაწყების წინ იძულებული გავხდით შეგვეკრიბა მოასპარეზენი და დებულებასთან ერთად მათთვის თამაშის წესებიც გაგვეცნო.

ლახტი სანახაობრივად ძალზე საინტერესო თამაშია, იგი ავითარებს კოლექტივიზმის გრძნობას, სისწრაფეს, სიმხარტეს, მოქნილობას და გამბედაობას. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია დამუშავდეს და გამოიცეს ამ თამაშის წესები. დარწმუნებული ვარ, ასეთ ცნობარს ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი გამოიყენებდა სახელმძღვანელოდ.

**ჯონი ვაშაკიძე,**
**პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარე.**

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**გთავაზობთ სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-15 ტურის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.**

**„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 3:1 (2:0).** გოლები: რუდაკოვი-2, ნ. სავიჩევი („ტორპედო“), სულეიმანოვი („ნეფთჩი“).

გააფრთხილეს ტორპედოელი როგოვსკოი.

დუბლიორები — 1:1.

**„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 1:2 (1:1).** გოლები: ბელანოვი, ზავაროვი (კიევი), კარატაევი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.

**„სპარტაკი“ — „ჟალგირისი“ 1:1 (1:1).** გოლები: ნარბეკოვასი („ჟალგირისი“), როდიონოვი („სპარტაკი“).

გააფრთხილეს ნარბეკოვასი („ჟალგირისი“).

დუბლიორები — 1:1.

**„დნეპრი“ — „ლოკომოტივი“ 2:1 (2:0).** გოლები: სონი, ლიუტი („დნეპრი“), რუსიაევი („ლოკომოტივი“).

გააფრთხილეს მოსკოველი ფეხბურთელები გორკოვი და ატაულინი, აგრეთვე, დნეპროპეტროვსკელი კუდრიცკი.

დუბლიორები 2:2.

**„შახტიორი“ — „ზენიტი“ 1:0 (0:0).** „ზენიტის“ კარში ერთადერთი ბურთი 11-მეტრიანით დრაგუნოვმა გაიტანა 90-ე წუთზე.

დუბლიორები — 0:2.

**„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (მინსკი) — 0:0.**

გააფრთხილეს მინსკელი ფეხბურთელები გოცმანოვი, ზიგმანტოვიჩი, შალიმო.

დუბლიორები — 1:0.

**„მეტალისტი“ — „არარატი“ 1:2 (1:1).** გოლები: დერკაჩი („მეტალისტი“), რ. აკოფიანი, ვერონიანი („არარატი“).

გააფრთხილეს ერევნელი ფეხბურთელები ვ. ხაჩატრიანი და სარქისიანი.

დუბლიორები — 2:1.

⊙ **სსრ კავშირის** ჩემპიონატის I წრეში ჩასატარებელია კიდევ 5 მატჩი. გათამაშების დაწყებიდან სულ 252 გოლია გატანილი. აქედან 158 ეკუთვნის მასპინძლებს, ხოლო 94 — სტუმრებს. საშუალო შედეგიანობა ყოველ მატჩში 2,17 გოლს უდრის.

⊙ **ბომბარდირთა** დავაში წინაა მოსკოვის დინამოელი ა. ბოროდიუკი (9 გოლი), თბილისის დინამოელმა გ. გურულმა და კიევის დინამოელმა ო. პროტასოვმა 8-8 ბურთი გაიტანეს.

⊙ **ერთადერთი** გუნდი უმაღლეს ლიგაში, რომელსაც ფრე არა აქვს, თბილისის „დინამოა“. თითო ფრედ დამთავრებული მატჩი აქვთ ალმა-ათის „კაირატს“, ბაქოს „ნეფთჩის“ და ოდესის „ჩერნომორეცს“. თითო მარცხი განიცადა გათამაშების სამმა ლიდერმა: კიევის „დინამომ“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ და მოსკოვის „სპარტაკმა“.

⊙ **თბილისის** „დინამოს“ მორიგ მატჩს გამართავს კიშინიოვის „ნისტრუსთან“ მეტოქის მინდორზე, ესაა სსრ კავშირის 1988-89 წლების თასის მეთექვსმეტედფინალური საპასუხო შეხვედა (პირველი მატჩი თბილისელებმა თავიანთ მინდორზე მოიგეს ანგარიშით 2:1).

⊙ **სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციამ ნება დართო ტაშკენტის „ფახთაქორის“ მოთამაშეს ი. შკვირინს გამოვიდეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ შემადგენლობაში.

**გათამაშების ცხრილი**

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 16 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 15 | 10 | 3 | 2 | 26-10 | 23 |
| „ჩერნომორ.“ | 15 | 8 | 5 | 2 | 18-7 | 21 |
| „დინამო“ კ. | 13 | 8 | 3 | 2 | 22-12 | 19 |
| „სპარტაკი“ | 13 | 7 | 3 | 3 | 27-17 | 17 |
| „ტორპედო“ | 15 | 7 | 3 | 5 | 22-21 | 17 |
| „ჟალგირისი“ | 14 | 6 | 5 | 3 | 28-11 | 17 |
| „დინამო“ თბ. | 14 | 6 | 5 | 3 | 20-18 | 17 |
| „ლოკომოტ.“ | 13 | 6 | 3 | 4 | 21-14 | 15 |
| „ზენიტი“ | 14 | 6 | 2 | 6 | 15-17 | 14 |
| „მეტალისტი“ | 15 | 4 | 4 | 7 | 16-18 | 12 |
| „დნეპრი“ | 15 | 4 | 3 | 8 | 14-23 | 11 |
| „არარატი“ | 13 | 3 | 3 | 7 | 17-25 | 9 |
| „შახტიორი“ | 14 | 3 | 3 | 8 | 16-27 | 9 |
| „კაირატი“ | 15 | 3 | 3 | 9 | 15-31 | 9 |
| „დინამო“ მნ. | 15 | 3 | 2 | 10 | 14-29 | 8 |
| „ნეფთჩი“ | 13 | 2 | 4 | 7 | 5-16 | 8 |

საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობა

## თბილისელები — ფინალში

**ორშაში** (ვიტებსკის ოლქი) დამთავრდა ოლიმპიური რეზერვებისა და ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობის ჯგუფური ტურნირი.

ამ ქალაქში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის ჭაბუკთა გუნდი იცავდა (1970-71 წლებში დაბადებულები). ჩვენი ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად ჩაატარეს მთელი ასპარეზობა და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. განვლილი შეხვედრების პერიპეტიებზე გვესაუბრება ამ სკოლის დირექტორი, ფინალისტთა გუნდის უფროსი მწვრთნელი **ანდრო თურქია:**

— შეჯიბრება სამ ქალაქში ჩატარდა: ორშაში, იაროსლავლსა და ზაპოროჟიეში. ქვეჯგუფი, რომელშიც ჩვენი გუნდი ასპარეზობდა, ყველაზე წარმომადგენლობითი იყო გათამაშებაში. აქ გამოდიოდნენ კიევის „დინამო“, მოსკოვის „ტორპედო“, მინსკის „შრომითი რეზერვები“, აშხაბადის ოლიმპიური რეზერვების სკოლა და კემეროვოს „აზოტი“ — ეს სკოლები ანალოგიური ტურნირების მუდმივი ფავორიტები არიან. განსაკუთრებით გამოვყოფ კიევისა და მოსკოვის გუნდებს, რომლებსაც ჭაბუკთა შეჯიბრებებში არაერთხელ მოუპოვებიათ გამარჯვება. ჩვენმა გუნდმა პირველი შეხვედრა კიეველ დინამოელებთან გამართა. მატჩი წავაგეთ 0:2. ამ გუნდის მთელი შემადგენლობა [illegible] „დინამოს“ [illegible] ფეხბურთელთა დუბლიორებში თამაშობს. მათგან 7 ფეხბურთელი ჭაბუკთა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულია. კიეველები ამ შეხვედრისთვის ჩვენზე უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ, ჩვენმა გუნდმა კი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ვერაფრით ვერ აღიდგინა ჩვეული სპორტული ფორმა.

მომდევნო შეხვედრა ჩვენმა გუნდმა მოსკოვის ტორპედოელებთან გამართა. საინტერესო ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა — 2:1. ბურთები გაიტანეს ჯომშიტაშვილმა და კერძევაძემ. მესამე შეხვედრა აშხაბადის გუნდთან გვქონდა. აშხაბადის ოლიმპიური რეზერვის სკოლის გუნდი შუა აზიის ზონის გამარჯვებულია, ოთხი მოთამაშე კი ჭაბუკთა საკავშირო ნაკრების წევრია. ჩვენებს არ გასჭირვებიათ ამ შეხვედრაში გამარჯვება — 5:2. ანგარიში სრულად ასახავს ძალთა თანაფარდობას. ამ შეხვედრაში ბურთები გაიტანეს ყაველაშვილმა (4) და ჯამარაულმა. დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ კემეროველებთან — 4:0. ბურთები გაიტანეს ამირიძემ (2), კერძევაძემ და ჩუბინიძემ. ამ გამარჯვების შემდეგ ჩვენი სკოლის გუნდმა, ბოლო შეხვედრის მიუხედავად, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ქვეჯგუფის უკანასკნელ მატჩში, რომელიც პრაქტიკულად უკვე არაფერს წყვეტდა, ძირითად შემადგენლობას დასვენების საშუალება მივეცით, მინსკის „შრომითი რეზერვების“ გუნდთან თამაში ფრედ დამთავრდა — 3:3.

ჩვენმა გუნდმა უკრაინელებთან ერთად ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვა. სად და როდის გაიმართება ფინალური ასპარეზობა ჩვენი ქვეყნის ექვს უძლიერეს კოლექტივს შორის, მალე შევიტყობთ.

საუკეთესო ბომბარდირი გახდა მიხეილ ყაველაშვილი (6 გოლი). კიდევ ერთი პრიზი მოიპოვეს ჩვენი სკოლის წარმომადგენლებმა — ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული ამ ხაზზე საუკეთესოდ ცნეს. გუნდს ჩემთან ერთად წვრთნიდნენ ვილიან მელაშვილი და გია ჩარკვიანი. მზადებაში ძალიან შეგვეწყო ხელი ფეხბურთის სამმართველომ, რომლის მხარდაჭერას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით, აგრეთვე, თბილისის „ლოკომოტივი“-ომც გუნდის ხელმძღვანელობამ. სკოლას ამ პირველობაში 1973 წლიდან არ გაუმარჯვია.

ესაუბრა **ზაზა კახაძე.**

• • •

**ჩვენი** რესპუბლიკის მეორე გუნდი, თბილისის „ნორჩი დინამოელი“, რომელიც ზაპოროჟიეში ასპარეზობდა, ფინალური თამაშების მიღმა დარჩა. კარგად აღებული სტარტის შემდეგ გუნდმა დარჩენილ ორ შეხვედრაში ვერც ერთი ქულის მოპოვება ვერ შეძლო.

## I ლიგა

**13 და 14 ივლისს გაიმართა 1 ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXI ტურის მატჩები.**

ლანჩხუთის „გურია“ ტიუმენში შეხვდა ადგილობრივ „გეოლოგს“ და ფრედ დაამთავრა თამაში — 0:0.

ბათუმის დინამოელებმა პერმში მარცხი განიცადეს ადგილობრივ „ზვეზდასთან“ შეხვედრაში — 0:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დაუგავა“ (რიგა) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 0:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „კოლხისი“ (ნიკოპოლი) 3:0, ასკ (დონის როსტოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 3:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:0, ცსკა — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 2:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 4:1.

XXII ტურში, რომლის მატჩები დღეს გაიმართება, ლანჩხუთის „გურია“ პერმში ითამაშებს „ზვეზდასთან“, ხოლო ბათუმის „დინამო“ ტიუმენში „გეოლოგთან“.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 16 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი“ | 20 | 14 | 5 | 1 | 41-17 | 33 |
| „დინამო“ სტ. | 20 | 11 | 7 | 2 | 32-15 | 29 |
| ცსკა | 20 | 10 | 6 | 4 | 27-15 | 26 |
| „როტორი“ | 20 | 11 | 2 | 7 | 33-22 | 24 |
| ასკ რ. | 20 | 10 | 4 | 6 | 27-24 | 24 |
| ასკ „კარპ.“ | 20 | 9 | 4 | 7 | 31-18 | 22 |
| „გურია“ | 20 | 9 | 3 | 8 | 27-25 | 21 |
| „გეოლოგი“ | 20 | 9 | 3 | 8 | 22-28 | 21 |
| „კოტაიკი“ | 21 | 9 | 3 | 9 | 28-37 | 21 |
| „როსტსელ.“ | 20 | 8 | 5 | 7 | 30-30 | 21 |
| „ფახთაქორი“ | 20 | 7 | 7 | 6 | 26-20 | 21 |
| „ტავრია“ | 20 | 6 | 9 | 5 | 20-16 | 21 |
| „შინიკი“ | 20 | 7 | 5 | 8 | 18-21 | 19 |
| „სპარტაკი“ | 20 | 7 | 4 | 9 | 33-35 | 18 |
| „დაუგავა“ | 20 | 6 | 6 | 8 | 24-24 | 18 |
| „კუზბასი“ | 20 | 6 | 6 | 8 | 15-22 | 18 |
| „კოლხისი“ | 20 | 6 | 5 | 9 | 15-22 | 17 |
| „ზარია“ | 20 | 6 | 4 | 10 | 27-31 | 16 |
| „ყუბანი“ | 21 | 6 | 3 | 12 | 20-32 | 15 |
| „ზვეზდა“ | 20 | 3 | 7 | 10 | 17-34 | 13 |
| „დინამო“ ბ. | 20 | 5 | 2 | 13 | 15-26 | 12 |
| „მეტალურგი“ | 20 | 3 | 6 | 11 | 12-26 | 12 |

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები: „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ტორპედო“ (ვოლჟსკი) 3:0, „ლოკომოტივი“-ომც (თბილისი) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) 2:4, „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 4:0, „სოკოლი“ (სარატოვი) — „ბაკინეცი“ (ბაქო), 6:1, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 4:1, „დილა“ (გორი) — „ლოკომოტივი“ (მინ. წ.) 3:2.

გათამაშების ცხრილი II ლიგის IX ზონის გუნდებს შორის დღეისათვის ასე გამოიყურება:

**გათამაშების ცხრილები**

**IX ზონა**

**მდგომარეობა 16 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სოკოლი“ | 13 | 9 | 3 | 1 | 33-15 | 21 |
| „ტორპედო“ ქ. | 12 | 9 | 2 | 1 | 23-10 | 20 |
| „მეტალურგი“ | 13 | 9 | 1 | 3 | 30-16 | 19 |
| „ატომმაში“ | 14 | 7 | 3 | 4 | 24-13 | 17 |
| „თერგი“ | 13 | 7 | 1 | 5 | 23-14 | 15 |
| „შევარდ.“-სპი | 13 | 6 | 3 | 4 | 21-18 | 15 |
| „ქიაფაზი“ | 11 | 6 | 1 | 4 | 23-12 | 13 |
| „დინამო“ | 13 | 6 | 1 | 6 | 20-19 | 13 |
| „დილა“ | 12 | 6 | 1 | 5 | 21-24 | 13 |
| „ტექსტილშჩ.“ | 13 | 4 | 4 | 5 | 14-13 | 12 |
| „ლოკ.“ (მინ. წ.) | 13 | 3 | 4 | 6 | 16-19 | 10 |
| „გოიაწანი“ | 11 | 3 | 3 | 5 | 13-16 | 9 |
| „ხაზარი“ | 10 | 3 | 2 | 5 | 10-18 | 8 |
| „ტორპედო“ ვ. | 14 | 3 | 1 | 10 | 13-28 | 7 |
| „ბაკინეცი“ | 10 | 1 | 1 | 8 | 4-28 | 3 |
| „ლოკომ.“-ომც | 13 | 1 | 1 | 11 | 14-39 | 3 |

• • •

ამავე ლიგის III ზონაში დღეისათვის სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა.

**III ზონა**

**მდგომარეობა 16 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ | 18 | 10 | 2 | 6 | 31-20 | 22 |
| „სპარტ.“ ოქ. | 17 | 10 | 2 | 5 | 30-20 | 22 |
| „კოლხეთი“ | 17 | 9 | 3 | 5 | 20-16 | 21 |
| „სპარტ.“ ტმ. | 17 | 10 | 0 | 7 | 25-27 | 20 |
| „სპარტ.“ ნჩ. | 17 | 9 | 2 | 6 | 26-19 | 20 |
| „მერცხალი“ | 17 | 8 | 2 | 7 | 21-20 | 18 |
| „ლოკომოტ.“ | 17 | 7 | 4 | 6 | 21-16 | 18 |
| „ცემენტი“ | 15 | 6 | 6 | 3 | 21-16 | 18 |
| „ლორი“ | 15 | 8 | 1 | 6 | 21-22 | 17 |
| „ლუჩი“ | 18 | 7 | 3 | 8 | 23-22 | 17 |
| „დინამო“ | 17 | 7 | 3 | 7 | 17-16 | 17 |
| „მეტალურ.“ | 16 | 7 | 2 | 7 | 28-18 | 16 |
| „ვოლგარი“ | 17 | 7 | 1 | 9 | 16-23 | 15 |
| „ურალანი“ | 16 | 6 | 3 | 7 | 24-21 | 15 |
| „ნარტი“ | 18 | 5 | 5 | 8 | 25-26 | 15 |
| „დრუჟბა“ | 17 | 6 | 2 | 9 | 17-17 | 14 |
| „ისკრა“ | 17 | 5 | 3 | 9 | 15-32 | 13 |
| „მაშუკი“ | 17 | 3 | 6 | 8 | 11-21 | 12 |
| „სპარტ.“ ან. | 15 | 5 | 1 | 9 | 14-24 | 11 |
| „ოლიმპია“ | 15 | 4 | 3 | 8 | 13-25 | 11 |

ნუ გავჩუმდებით!

## ნაჭრუშობამ დააზარალა ჩვენი ფეხბურთი

**ბოლო** დღეებში სარედაქციო ფოსტაში საგრძნობლად იმატა წერილებმა საფეხბურთო თემაზე. ერთნი თავიანთ გულისწყრომას გამოხატავენ თბილისის „დინამოს“ მიმართ, მეორენი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით კონკრეტულ წინადადებებს იძლევიან, სხვები, როცა ქართული ფეხბურთის კრიზისის მიზეზებს ეძებიან, ძირითადად საქართველოს საფეხბურთო მეურნეობაში ჯერ კიდევ აღმოუფხვრელ ნაკლოვანებებზე მიუთითებენ. მოდის კოლექტიური წერილებიც, რომელთა ავტორებიც კატეგორიულად მოითხოვენ, კიდევ უფრო გამკაცრდეს სანქციები საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდების მიმართ, მათ საქმიანობაში მთავარი უნდა იყოს ქართული ფეხბურთის სამსახური და არა ვიწრო კუთხური ინტერესები. ავიღოთ მაიაკოვსკის რაიონიდან ამას წინათ რედაქციაში შემოსული ერთი კოლექტიური წერილი, რომელსაც ხელს აწერენ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები. „ძვირფასო რედაქცია, — გვწერენ ისინი, — წაყრუებამ და ფაქტების მიჩქმალვამ მიიყვანა ქართული ფეხბურთი ამ დონეზე, თუ ადამიანებს პირში არ ვუთხარით სიმართლე და არ ვაგრძნობინეთ შეცდომები, მერე ალბათ საერთოდ ალარაფერი გვიშველის“. რა აწუხებს ამ ხალხს, რა აძლევს ასეთი განცხადების საფუძველს? ამაზე ქვემოთ.

რედაქციისთვის შეიძლება საყურადღებო არ იყოს ცალკეული პრეტენზიები, მით უმეტეს, თუ ისინი დაკანონებული წესების საწინააღმდეგოდაა გამოთქმული, მაგრამ არ შეიძლება ყური არ მივუგდოთ საზოგადოებრივ აზრს, არ შევაფასოთ იგი. ვერ გავჩუმდებით, როცა „ჭორი“ მართლდება, როცა ზოგიერთ რაიონში ერთი თვით ადრე იციან, ვინ იმსაჯებს ამა თუ იმ მატჩს და ეს ხდება მაშინ, როცა ყოველი ახალი ტურის არბიტრები რამდენიმე დღით ადრე ინიშნებიან, ანდა რატომაა, რომ ვინც თავად უნდა იბრძოდეს მსაჯობაში წესრიგის დასამყარებლად, ვისიც ხშირათ, უეცრად საზოგადოებრივი განსჯის ობიექტი ხდება? ყველაფერს ხომ თავის მიზეზი აქვს, ჰოდა, ადამიანებს პირში ვუთხრათ სიმართლე, ამას აკი მკითხველებიც მოგვიწოდებენ. თუ კონკრეტულად გნებავთ, ამას საერთაშორისო კატეგორიის მსაჯზე ვ. მიმინოშვილზე მოგახსენებთ. ეს მსაჯი შეიყვარა ჩვენმა ხალხმა, ემაყება მისი წარმატებები და... ამიტომ უძმიმთ ფეხბურთის გულშემატკივრებს მასზე აუგის თქმა, მაგრამ, რაკი სხვა გზა აღარ არის, სიმართლეს პირდაპირ ამბობენ. ამ გამოცდილმა და კვალიფიციურმა მსაჯმა ბოლო დროს იმედი გაუცრუა გულშემატკივრებს. ასე იყო მაიაკოვსკში, ვანში... მერე მისმა შეცდომებმა საკავშირო ჩემპიონატის მატჩებშიც იჩინა თავი. მაიაკოვსკელთა კოლექტიურ წერილში, რომელიც რედაქციამ კონტროლზე აიყვანა, ბევრი რამ იყო გასარკვევი, მიმინოშვილს კი ვერა და ვერ შევხვდით — იგი ამ დღეებში ქვეყნის ერთი ქალაქიდან მეორეში მოგზაურობდა სამსაჯოდ. ახლა სხვა გზა არაა, რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ გუშინ იგი სასწრაფოდ გამოიძახა თბილისში და 20 ივლისს სპორტტექნიკურ კომისიაზე ვ. მიმინოშვილის თანდასწრებით უნდა განიხილონ რამდენიმე საკითხი. მიმინოშვილი სხვა მხრივაც პასუხისმგებელი მუშაკია — რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს. ამიტომ იგი სხვებს მაგალითს უნდა აძლევდეს, მისგან მეტს მოელიან და მოითხოვენ როგორც სპორტის მესვეურები, ისე გულშემატკივრები.

„...18 ივლისს გეგეჭკორში ადგილობრივი „სალხინო“ ოჩამჩირის „ამირანს“ მასპინძლობდა. შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა—3:1. მატჩის პირველი ნახევრის დამთავრებისთანავე გულშემატკივრებმა „სალხინოს“ მწვრთნელების წაქეზებით ლანძღვა-გინება აგვიტეხეს მსაჯებს, შეხვედრის დამთავრების შემდეგ კი ფიზიკურადაც გაგვისწორდნენ. ადგილობრივ წესრიგის დამცველებს გაგულისხმული მაყურებლებისგან დასაცავად ვთხოვეთ დახმარება და მეზობელ რაიონამდე გაცილება, მაგრამ ჩვენს თხოვნას ყური არ ათხოვეს, ოჩამჩირელთა ავტობუსისკენ მიგვითითეს და დაგვშორდნენ. შუა გზაში ჩვენს ავტობუსს წინ გადაუდგა მსუბუქი ავტომანქანა. ავტობუსის მძღოლი იძულებული გახდა შეეჩერებინა ავტობუსი. ჟიგულიდან გადმოვიდნენ ნასვამი ახალგაზრდები და იწევდნენ ჩვენსკენ საცემრად. ავტობუსში ჩვენთან ერთად მგზავრობდა სამი გეგეჭკორელი ფეხბურთელი, მათი და ავტობუსის მძღოლის დახმარება რომ არა, ვინ იცის როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი“ — ეს სტრიქონები ამოწერილია ზემოაღნიშნული მატჩის მსაჯის ტ. ნიშნიანიძის ახსნა-განმარტებიდან. ამ საკითხსაც განიხილავს სპორტტექნიკური კომისია, ამჟამად საქმეს იძიებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

შედეგებს გაცნობებთ.

## „სიჭაბუკის თასზე“

**სამტრედიაში** დასასრულს უახლოვდება „სიჭაბუკის თასის“ საკავშირო გათამაშების ზონალური ტურნირი ფეხბურთში.

როგორც გაუწყეთ, ჩვენს ფეხბურთელებთან ერთად ქვეჯგუფში მონაწილეობენ „შრომითი რეზერვების“, მოლდავეთის, ლატვის, ლენინგრადისა და უზბეკეთის ნაკრები გუნდები.

ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს მოლდავეთის — 1:0, უზბეკეთის — 4:1, ლენინგრადის — 4:0 და დათმეს თამაში „შრომითი რეზერვების“ გუნდთან — 0:1. ლიტველებთან დარჩენილი შეხვედრის მიუხედავად საქართველოს ნაკრები (მწვრთნელები ო. გეგეჭკორი და ე. დოლიძე) ფინალურ შეხვედრებში მიიღებს მონაწილეობას.

### ელვა-ინფორმაცია

ტყვიის სროლაში გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის“ პრიზზე მსოფლიო რეკორდი გაიმეორა თბილისელმა სტუდენტმა ნინო სალუქვაძემ. შემდეგ ნინომ ფინალშიც წარმატებით იასპარეზა და შეჯიბრების ერთ-ერთი პრიზი მოიპოვა. ეს ასპარეზობა მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპია.

# „ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ“ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ

**ᲕᲝᲚᲒᲝᲒᲠᲐᲓᲨᲘ** ჩატარდა ტრადიციული გუნდური საკავშირო საჭადრაკო ფესტივალი „გამარჯვების თასზე“, რომლისთვისაც იბრძოდნენ 1971 წელს და უფრო გვიან დაბადებული მოსწავლეები ხარკოვიდან, ვოლგოგრადიდან, ომსკიდან, სარატოვიდან, მოსკოვიდან, აგრეთვე ქერჩის, ტომსკის, ვლადივოსტოკისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების 32 გუნდი.



უძლიერესის სახელი და „გამარჯვების. თასი“ პირველად მოიპოვა თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა. საჭადრაკო სპორტული სკოლის გუნდმა. მან 36,5 ქულა მოაგროვა და ქულანახევრით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ვორონეჟის წარმომადგენლებს. მესამე ადგილი წილად ხვდათ ტურნირის მასპინძლებს (33 ქულა).

ჩვენი გუნდის ღირსებას იცავდნენ ოსტატობის კანდიდატი დავით ხოსრუაშვილი (7 ქულა), პირველთანრიგოსნები ვალერი აკოფიანი (4,5), კობა ჩაჩანაშვილი (4,5), ზურაბ ქსოვრელი (6,5), ნატო ეძგვერაძე (7,5) და ნინო ღლონტი (6,5), გუნდის მწვრთნელი გიორგი ხომერიკი.

თავიანთ დაფებზე პირველი ადგილი დაიკავეს ზურაბ ქსოვრელმა და ნატო ეძგვერაძემ.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ,**
**ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.**

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** გამარჯვებული გუნდი.

# ᲞᲚᲣᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲨᲘ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

რაიონებიდან 192 ფინალისტი ჩამოვიდა — ალბათ საუკეთესონი. მათგან 42-მა ნული ქულა (!) მიიღო. არ არის საჭირო ახსნა, საიდან მოდის ეს: ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა...

**⊙ და ეს ხარვეზი ფიზკულტჩათვლით უნდა დაძლიოთ?**

— რაღაცით ხომ უნდა დაგვეწყო. გავითვალისწინეთ ჩვენი ყბადაღებული „საყოველთაო უმაღლესზე“ დამიზნებაც. დაე, მან ახლა ფიზმომზადების ასამაღლებლად იმუშაოს.

**⊙ იმუშაოს, მაგრამ დღევანდელი აბიტურიენტი — მოუმზადებელი ხომ არ იყო ამისთვის? 11 წლის განმავლობაში სკოლაში სრულიად ფორმალურად უწერდნენ მაღალ ნიშანს ფიზკულტურაში. და აი, უმაღლესში შესვლისას სათანადო მომზადებას სთხოვენ.**

— მომზადება ყველას მოეთხოვება, მაგრამ გამოცდებზე დაიშვებიან ისინიც, ვისაც ჩათვლა არა აქვს. ჩათვლის შედეგმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩარიცხვის დროს, მაგრამ წელს ეს გავლენა მინიმალური იქნება: ჩათვლა მთლად ბოლო პლანზე დადგება. ამასთან ჩათვლის პროგრამაც მარტივია. რბენა ორ მანძილზე, ჩაბუქვნა, ცურვა და იატაკიდან აჭიმვა. მათგან საკმარისია სამის ჩაბარება არჩევით. ნორმატივების ვარიანტებიც საჯაროდ განვიხილეთ და დავადგინეთ სამი ასაკობრივი ჯგუფი გოგონებისა და ჭაბუკებისათვის. დასაწყისისათვის მოთხოვნები ძალზე გაადვილებულია. თავად განსაჯეთ: 16-18 წლის გოგონებმა ასი მეტრი 17 წამში უნდა გაირბინონ. ამაზე ადვილი რა უნდა იყოს. მაგრამ არა, გამოცდის მესამე დღეს კვლავ დათმობაზე წავედით — ეს მოთხოვნაც შევარბილეთ. სამერმისოდ ვიმედოვნებთ, აღარ დაგვჭირდება დათმობა. ალბათ, შეფასებებსაც შემოვიღებთ.

**⊙ აბიტურიენტებს ფიზკულტურაში მომზადების საშუალება თუ ჰქონდათ?**

— ბევრ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლებმა თავად ჩაატარეს დამატებითი გაკვეთილები. ზოგმა ისარგებლა სტადიონებზე მოქმედი სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ფიზმომზადების ჯგუფებით. აბიტურიენტთა მშობლებთან შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ ოჯახებში ფიზიკური მომზადებისადმი დამოკიდებულება იცვლება.

**⊙ როგორ მიმდინარეობდა ფიზკულტჩათვლა?**

— უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოჰყვეს კომისიები, მოამზადეს თავიანთი სტადიონები. ვისაც ასეთი ბაზები არა აქვს, მთელი თვის განმავლობაში უფასოდ სარგებლობდა დიდი სტადიონების მომსახურებით. მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ, ამ შემთხვევის გამო უკან არავის დაუხევია. საქმეში ჩავრთეთ ქალაქის აუზებიც. სხვათა შორის, ვფიქრობდით, რომ ცურვას მაინცდამაინც ბევრი არ აირჩევდა, მაგრამ შევცდით. თანაც უნდა ითქვას, რომ ამ სახეობას ძირითადად სააბონემენტო ჯგუფებში ეუფლებიან. ესეც განსჯის თემაა...

ჩათვლის გამო ოფიციალური პრეტენზია არავის ჰქონია, თუმცა პრეტენზიის განსახილველად საგანგებო კომისია მუშაობდა.

**Ტ. ᲨᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ,**
**„იზვესტიის“ საკ. კორ.**

თბილისი.
„იზვესტია“. 14.VII.88 წ.

## ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘ — ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** ქალთა „ტურ დე ფრანსის“ მეოთხე ეტაპის სიგრძე 84,5 კილომეტრი იყო. ეს ეტაპი, რომლის ფინიში შედგა ზამთრის მომავალი ოლიმპიური თამაშების ქალაქ ალბერვილში ფრანგმა ველოსიპედისტმა ჟანი ლონგომ მოიგო (2:11.48) და კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის მდგომარეობა. ახლა იგი მეორე ადგილზე მყოფ იტალიელ მარია კანინს 17 წამს უგებს. საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი ჯერჯერობით კუიბიშეველ ნადეჟდა კიბარდინას აქვს (XI ადგილი), რომელიც ლიდერს 7 წუთითა და 22 წამით ჩამორჩება.

**ᲝᲓᲔᲜᲡᲔ** (დანია). აქ მიმდინარე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში გუნდურ საგზატკეცილო რბოლაში 70 კილომეტრზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. ჩემპიონის ოქროს მედლები იტალიელებმა მოიპოვეს — 1:21.22,7. მეორე ადგილზე გავიდა ჩეხოსლოვაკიის გუნდი 1:28,44,2. საბჭოთა ველოსიპედისტების დროა — 1:23.37.

**ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ.** ევროპის ჩემპიონატზე გათამაშდა მედლების კომპლექტი სასანგრო სროლაში. ოქროს მედალი იტალიელმა ალბანტ პერამ დაისაკუთრა — 197 ქულა. ხარკოველ ალექსანდრე ლავრინენკოს ვერცხლის მედალი ერგო — 196 ქულა. მესამე ადგილზე ისევ იტალიელი მარკო ვენტურინი გავიდა. — 194 ქულა.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** „კორიდა ლევალუა“ — საერთაშორისო მძლეოსნური გარბენი პარიზის გარეუბანში ქალთა შორის ინგლისელმა პაულა ფიუჯიმ მოიგო (41,44). ვაჟებში — კენიელმა ბარნაბა კორირმა (36, 23). ორივე შეჯიბრების დისტანცია 12,4 კილომეტრი იყო.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

# ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

**ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ** გუნდი, რომელმაც ახლახან დაამთავრა ტურნე ევროპაში აშშ-ს ოლიმპიურ ნაკრებად იწოდება. სინამდვილეში კი, ამ კოლექტივის ოთხი ან ხუთი წევრი თუ მოხვდება ოლიმპიურ გუნდში, რომელიც ამჟამად თავისი თექვსმეტი კანდიდატით წვრთნას გადის კოლორადო-სპრინგსში.

ამერიკელმა კალათბურთელებმა ევროპაში ექვსი შეხვედრა ჩაატარეს და ყველა დიდი უპირატესობით მოიგეს, მათ შორის ჰოლანდიასთან — 84:68, ინგლისთან — 101:56, ფინეთთან — 117:63, საფრანგეთთან — 100:87, ავსტრიასთან — 115:46 და ესპანეთთან — 109:87. ამ გუნდს არ ახლდა ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელი ჯონ ტომპსონი (იგი ნაკრების 16 მთავარ კანდიდატთან ერთად შინ დარჩა სავარჯიშოდ). მეორე მწვრთნელის ჯორჯ რაველინგის განცხადებით ეს ტურნე მიზნად ისახავდა მხოლოდ ერთი კალათბურთელის დევიდ რობინსონის საბრძოლო ფორმის შემოწმებას.

რობინსონს სამხედრო საზღვაო აკადემიის დამთავრების შემდეგ, მთელი 9 თვის მანძილზე კალათბურთი არ უთამაშია და ცხადია არ იყო ფორმაში. ამ შეხვედრებში მან აღიდგინა ფორმა, ესპანელებთან მატჩში კი მოედანზე საუკეთესო იყო. რობინსონი საკმაოდ მაღალი (215 სმ) და სწრაფი კალათბურთელია. ოლიმპიადის შემდეგ იგი ერთ-ერთ პროფესიულ კლუბში ჩაირიცხება.

ტომპსონი ოლიმპიური გუნდის მთავარ იმედად დენი მენინგს (209 სმ) ასახელებს. მან ახლახან დაამთავრა კანზასის უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო (ე. ი. სამოყვარულო) კალათბურთის № 1 მოთამაშის სახელი დაისაკუთრა. მენინგი უკვე შეისყიდა „ლოს-ანჯელეს კლიპერსის“ პროფესიონალურმა კლუბმა და ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ იქ ითამაშებს.

# „ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ ᲰᲝᲣᲥᲡᲘ“

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ** კავშირს ეწვევა კალათბურთელთა პროფესიული კლუბი „ატლანტა ჰოუქსი“. დაგეგმილია სამი შეხვედრა ქვეყნის ნაკრებთან. პროფესიონალებთან პირველი კონტაქტი კი, როგორც გახსოვთ, შედგა შარშან ამერიკის ქალაქ მილუოკში. ის მატჩი „მილუოკ ბაქსმა“ დამაჯერებლად მოიგო — 127:100.

ამერიკელი მიმომხილველების აზრით, 1987-88 წლის სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო იყო „ატლანტა ჰოუქსის“ ისტორიაში. გუნდის უფროსი მწვრთნელი მაიკლ ფრატელი: თუ 1985 წელს გუნდმა 34 თამაში მოიგო და 48 წააგო ამ სამწლიანი პერიოდის ბოლოს აქვს 57 მოგება და 25 წაგება. პროგრესი აშკარაა. პლუს 23 მოგება (1986 წლის სეზონში უკვე გვქონდა 50 მოგება, 32 წაგება). ამ სამწლიანი სავარჯიშო გეგმის საბოლოო მიზანი იყო გუნდის ისეთ კონდიციამდე მიყვანა, რომ მას შეძლებოდა ნბა-ს ჩემპიონის ტიტულისათვის დავაში თამამად ჩაბმა, რაც ჯერჯერობით ნაწილობრივაა მიღწეული.

ადრე „ატლანტა ჰოუქსი“ ცნობილი იყო როგორც ტემპიანი, სწრაფი თამაშის მომხრე, ახლა კი გუნდმა იცის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს წარმატების მისაღწევად. ამასთან „ჰოუქსი“ ნბა-ს ერთ-ერთი ყველაზე ათლეტური გუნდია.

განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს გუნდის მწვრთნელი დებიუტანტ დალას ქომეჯის (203 სმ) თამაშს. „1987 წელს გუნდის ახალი მოთამაშეებით შევსებამ გაგვიმართლა. მოგვემატა დალას ქომეჯი, უნივერსალური მოთამაშე, რომელსაც თავდასხმაში ნებისმიერ პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში. სამქულიანი ხაზიდან ზუსტ სროლებთან ერთად მას ძალიან კარგი ფიზიკური მომზადება აქვს. ასე რომ, ეს მოთამაშე პირდაპირ ზედგამოჭრილია „პლეი-ოფის“ მატჩების სერიაში. გარდა ამისა, მოყვარულთაგან ავარჩიეთ ორი მცველი ტერანს ბეილი — სამოყვარულო კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა შედეგიანობის მხრივ, მეორე ტერი კონერია, ალაბამას გუნდიდან.

გუნდის შემადგენლობა: კენ ბარლოუ (205 სმ), ჯონ ბაითლი (195), ანტუან კარი (203), სკოტ ჰასტინგსი (205), ჯონ კონჩაკი (210), კლიფ ლევინგსტონი (200), მიკი მაკგიი (192), გლენ რივერსი (192), თრი როლინსი (212), ანტონი უები (168), დომინიკ უილკინსი (200), კევინ უილისი (210), რენდი უიტმენი (195), დალას კომეჯი (203), ტერანსი ბეილი (185), ჯერი კონერი (188).

**ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ,**
**ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ.**

## „ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“

**ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲘᲡ** „კაირატის“ თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები.

1—1, 2—1, 3—2, 4—2, 5—1, 6—2, 7—X, 8—1, 9—1, 10—2, 11-2, 12—1, 13—1.

**ᲙᲘᲔᲕᲘᲡ** „დინამოს“ თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები.

1—X, 2—X, 3—1, 4—2, 5—1, 6—2, 7—1, 8—X, 9—2, 10—1, 11—1, 12—2, 13—1.

**ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## „ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

**ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 28-ე ტირაჟების შედეგები, რომელიც 1988 წლის 10 ივლისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან.** ტირაჟში დაშვებულია 1.275.857 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (18) მოგებამ 3.145 მანეთი შეადგინა, 4 ნომრის გამოცნობისთვის (1.273) — 45 მანეთი, 3 ნომრის გამოცნობისთვის (25.823) — 3 მანეთი.

**„სპორტლოტო 5 36“-დან.** ტირაჟში დაშვებულია 13.532.653 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (22) მოგებამ 10.000 მანეთი შეადგინა, 4 ნომრის გამოცნობისთვის (5.011) — 145 მანეთი, 3 ნომრის გამოცნობისთვის (154.540) — 7 მანეთი.

28-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 25 ივლისიდან 25 აგვისტოს ჩათვლით.

# 4:3 ᲐᲚᲔᲜ ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ




**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ,** პოლ რიკარის ტრასაზე გაიმართა „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპი.

წინა დღით, ოფიციალური საწვრთნელი რბოლა ალენ პროსტმა მოიგო და წელს პირველად მისი „მაკლარენი“ სტარტზე თანაგუნდელის წინ დადგა.

ეტაპი საინტერესოდ წარიმართა. ხან ლიდერობდა პროსტი, ხან სენა. დისტანციის ნახევრის გავლის შემდეგ დადგა საბურავების გამოცვლის დრო და ალენ პროსტი პირველი შევიდა ბოქსში. ამასობაში სენა დაწინაურდა, მაგრამ ფრანგმა სპორტსმენმა დაკარგული დრო სწრაფად აინაზღაურა და 60 ათასი მაყურებლის აპლოდისმენტების გრიალში პირველმა გადაკვეთა ფინიში.

ამრიგად, ეტაპის საბოლოო შედეგი ასეთია: 1. ალენ პროსტი (საფრანგეთი). — 9, 2. აირტონ სენა (ბრაზილია) — 6 (ორივე „მაკლარენ-ჰონდა“); 3. მიქელე ალბორეტო (იტალია) — 4, 4. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია) — 3 (ორივე „ფერარი“), 5. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ლოტუს-ჰონდა“) — 2.

შვიდი ეტაპის შემდეგ 54 ქულით კვლავ ალენ პროსტი ლიდერობს. 39 ქულა აქვს მეორე ადგილზე მყოფ აირტონ სენას. გერჰარდ ბერგერს — 21. 13-13 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილი უკავიათ ნელსონ პიკეს და მიქელე ალბორეტოს.

კონსტრუქტორთა პირველობაზე კვლავ ლიდერობს „მაკლარენ-ჰონდა“. 93 ქულით იგი პირველ ადგილზეა და მისი ჩემპიონობაც უკვე ეჭვს არ იწვევს. მეორე ადგილზეა „ფერარი“ (34 ქულა), „ლოტუს-ჰონდას“ — 14.

უკვე ჩემპიონატის ნახევარია გასული და როგორც ჩანს, „მაკლარენი“ ახლოსაა თავისებურ რეკორდთან. წელს მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ყველა ეტაპის მოგება, ეს კი ინგლისური გუნდის შეფის რონ დენისის დიდი ხნის ოცნებაა.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ.**

რედაქტორი
**Თ. ᲑᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.**

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6-7-8 9-10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10812